ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
აჭარის სატყეო სააგენტო

GEORGIA
Ajara Autonomous Republic
Legal entity of public law
Forestry Agency of Ajara

შუახევის სატყეო ადმინისტრაცია

Forestry administration of Shuakhevi

დაბა შუახევი ☎ (0424) 26-00-71 დაბა შუახევი

N 13/242
11.10.2024

242-13-2-202410111314

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს
უფროსს ბატონ ჯუმბერ აბულაძეს

ბატონო ჯუმბერ,

შემდგომი განკარგვის მიზნით გაწვდით გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აჭარისა და გურიის რეგიონალური სამმართველოს თანამშრომლების მიერ 2024 წლის 29 აგვისტოს შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წელათში (გუზლიეთის უბანში) აღმოჩენილი 13 ცალი წიწვოვანი (სოჭი) ჯიშის მრგვალი I ხარისხის (სამასალე) ხე-ტყეს, მოცულობით 4,355 კბმ, რომელზედაც მოქალაქე დანიელ ფუტკარაძის მიმართ შედგენილია ტყის წესების დარღვევაზე შესაბამისი რეაგირების აქტი და შემდგომი რეაგირებისათვის 2024 წლის 07 სექტემბრის N13/213 კორესპოდენციით გადმოგზავნილია თქვენთან სააგენტოში.

სოჭის სახეობის მრგვალი I ხარისხის (სამასალე) ხე-ტყე, მოცულობით 4,355 კბმ (ყველა მორის სიგრძე არის 3,0 მეტრი, წვრილი თავის დიამეტრი 1. 38 სმ, 2. 30 სმ. 3. 38 სმ, 4. 40 სმ, 5. 37 სმ, 6. 30 სმ, 7. 31 სმ, 8. 35 სმ, 9. 34 სმ, 10. 30სმ, 11. 29 სმ, 12. 42 სმ, 13. 37 სმ.), რომელზედაც გაწერილია ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი N3000106146, ხე-ტყე 2024 წლის 29 აგვისტოს მიღება-ჩაბარების აქტით დროებითი შენახვის მიზნით ჩაბარებულია შუახევის სატყეო ადმინისტრაციის ოლადაურის სატყეოს N4 სამცველოს ტყის მცველ ლევან სურმანიძეზე. ხე-ტყე მოჭრილია ოლადაურის სატყეოს N4 სამცველოს კვარტალ N27-ში და განთავსებულია შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წელათში (გუზლიეთის უბანი) საავტომობილო გზის მიმდებარედ 5-10 მეტრის დაშორებით ღია ცის ქვეშ, განიცდის გარემო კლიმატური პირობების ზემოქმედებას. ასევე გაწვდით ხე-ტყის მდგომარეობის ამსახველ ფოტომასალას.

დანართი: 3 ფურცელი, 2 ფოტო.

პატივისცემით

რამაზ ტაკიძე



დირექტორი
შუახევის სატყეო ადმინისტრაცია